# სამშობლო

სამშაბათი 3 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. ... ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ... მოწერი. ღირს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 213 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 213

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილით მშობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ს ა მ შ ო ბ ლ ო"

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



მწუხარე ჭირისუფალნი: კარპეზ სიმონის ძე კორძაია, ნინუცა ქაჯაიას ასული კორძაიასი ტრიფონ კარპეზის ძე კორძაია, ტასო კარპეზ კორძაიას ასული ელიავასი, გოგუცა ცხვედიანისა, ელენე ასათიანისა, ლისა კორძაიას ასული კოპალაძისა, კუკუ თომას ძე ელიავა, ამბაკო ცხვედიანი და ერმილე ასათიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი და მეორე დაუვიწყარი ქალიშვილისას, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ძვირფასი დისას, მეშვიდე ძმისწულისას, უკანასკნელნი სამი ცოლის დისას

## თამარა (მარგარიტა) კორძაიასას,

გამოსვენების დღე დანიშნულია 2 ნოემბერს, დღით ორშაბათს, ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათზე, პადგორნი ქუჩიდან, წიქორაძისა და ამხ. სახლიდან, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ ქუთაისის რკინის გზის სადგურზე, საიდანაც მეორე დღის დილის ხუთის ნახევარზე წაასვენებენ ს. საჯილაოში, საგვარეულო სასაფლაოზე.
პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე. 1—1

მართა მათე ლოლუას ასული ხორავასი, ვასილ საჩინოს ძე ხორავა, თეოფინე გიორგის ძე გვიჩია; კუკუნა კოსტანტინეს ასული საყვარელიძე; ალექსანდრა თეოფანე გამსახურდიას ასული ხორავასი, ძიკი კოსტას ასული გვიჩიასი და ძაძუ კოსტას ასული ნადარეიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი დისწულის, მეორე და მეოთხე დედის დის შვილის, მესამე ცოლი ძმის, მეექვსე და მეშვიდე ძვირფასი ძმის, ხოლო მეხუთე ქმრის დეიდის შვილის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფის

## აქვსენტი კოსტას ძის ნადარეიშვილის

გადაცვალებას.

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება მღვდ. ზოსიმე ნემსწვერიძის სახლიდან, გენერლის ქუჩის შესახვევში, სამშაბათს, 3 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე ცხედარს მიასვენებენ სადგურზე, საიდანაც წაიღებენ სოფ. ონტოფოში დასაკრძალავათ. 1—1.

**დაიბეჭდა** და **იყიდება** ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში
**სამსონ დათეშიძის** მიერ შედგენილი
„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი",
ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილის დაამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—8

**კბილის ექიმი**
**მ. მგელაძე—გალიცკისა**
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

**ექიმი მულინი**
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი**
**მარ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

**გაბრიელ იოსების ძე**
**ექიმი გოკიელის**
**ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.**
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
**ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

**კბილის ექიმი** **რ. პ. სვანაძის** ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე**
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
**მისამართი:** ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ორშაბათიდან, 2 ნოემბრიდან სეზონის სენსაცია.



## მოცეკვავე შავი ყვავახანისა.

სენსაციური დრამა 6 ნაწ. იტალიელი გამოჩენილი მსახიობ ქალის **ფრანჩესკა ბერტინის** მონაწილ.
1 ნაწ. შავებთა კლუბი, 2—შეცდენა, 3—პლანის გაგება, 4—ახალი ცხოვრება, 5—სასტიკი ბედი, 6—სამაგიეროს გადახდა.

ბოკსი კომიკური რუსულათ


## განცხადება.

შავი ზღვის ნაპირა რკინის გზისათვის გასაკეთებლათ საჭიროა ქვემოდასახელებული რაოდენობა ფურაჟისა და სურსათისა.

თივა შეკრული ახალი მოთიბული 35000 ფუთი; ბზე შეკრული პრესის საშუალებით, ან ისე 12000 ფ.; ჭურის ჩალა 15000 ფ.; ჭურის ფქვილი მე-5 და მე-7 ხარისხისა თანაბრათ სულ 12000 ფ.; კაპუსტის მწვანილი 100 ფ.; კარტოფილი 300 ფ.; მარილი—200 ფ.; ღორის ქონი სისქით, არა ნაკლები ერთი გოჯისა—500 ფ.; მზეუმზირას ზეთი —200 ფუთი (ბოჩკებში 15 ფ.); ბრინჯი გრეჩნ.—1500 ფ.; ჭურის —2500 და ფქვილი 100 ფ.

აღნიშნული საგნები უნდა მოიტანოს მოიჯარადრემ ვადაზე თანაბრათ:

12 დეკემბრისათვის მდგომარე წლისა და თაბერვლის, აპრილისა და ივნისის 1 რიცხვისთვის 1916 წლისა.

რკინის გზის სამმართველო იტოვებს უფლებას გაადიდოს ან შეამციროს აღნიშნული რაოდენობა 25 პროცენტით.

იმ პირებს, ვინც მოინდომებს აღნიშნულ სურსათისა და ფურაჟის მიწვდას მთლიანათ, ან ნაწილათ რომელიმე საგნისა, რკინის გზის საამშენებლო სამმართველო სთხოვს შეიტანონ განცხადება (უკანასკნელი ფასის აღნიშვნით თითოეულ ფუთზე წმინდა წონის ფრანკო ვაგონის სადგურიდან, საიდანაც გაიგზავნება, ან რა ეღირება ახალ სენაკის სადგურამდი) სოჩაში, შავი ზღვის ნაპირა გუბერ. სამეურნეო ნაწილის უფროსის სახელზე არა უგვიანეს 15 ნოემბრისა მდგომარე წლისა.

განცხადებები გამოგზავნილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებით (თუ შეიძლება ლუქის ბეჭდით) კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „განცხადება ფურაჟისა და სურსათის მიწვდის შესახებ".

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ლუქის ბეჭდით ნიმუში (ორ ორი ეგზემპლიარი) შვრიის ფქვილის, ბრინჯისა და ჭურისა ჩაბარება და უკანასკნელი მიღება მოხდება ფურაჟისა და სანოვაგისა ახალ სენაკის რკინის გზის სადგურზე.

პირობის შესაკვრელი საგერბო ხარჯები უნდა იყოს მოიჯარადრისა.

ყველა ხარჯი სანოვაგის მესახვევი, შესაკვრელი და ჭურჭლებისა მოიჯარადრისაა, ხოლო ტომრებსა და ბოჭკებს სამართველო შეისყიდის მორიგებით

**ახალ-სენაკის მატერიალური საწყობის გამგე.**


იყიდება ახალი წიგნაკები: ბ. ოცხელის და მთავრიშვილის წიგნ. მაღ., და აგრეთვე ბ. გალუსტოვის ასაკინძავ ქარხანაში.

1. მხედარი. 2. გზა და გზა. 3. უმადური. და „ესეც კიდევ სოფელს".
იბეჭდება კიდევ და გამოვა 5) „ლიკ-ლიკი"
შეთხზული **დათ. ლოლობერიძისა.**


## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 1 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. გერმანელები შეეცადენ იერიშის მოტანას ბერზემიუნდეს კონცხთან (იკსკულის რაიონში), მაგრამ მოგერებულ იქნენ ჩვენი არტილერიის ცეცხლით. დვინსკის რაიონში და სამხრეთით პრიპიატამდი არაფერი შესამჩნევი მომხდარა. ჩარტრისკის ჩრდილოდასავლეთით სოფ. მედვეჟეს რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირე ცდილობს მდ. სტირისკენ წამოწევას, მაგრამ არტილერიის ცეცხლით ვაჩერებთ. სოფ. პოდმატიესთან ჩარტორიისკის დასავლეთით გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს.

### კავკასიის ფრონტი.

ურმიის ტბის დასავლეთ ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ქურთთა ბრბოები გაფანტა,

პეტროგრადი. 1 ნოემბ. დღის ოფიციალური ცნობა. მტერმა ააფეთქა ნაღმი ფრიზის რაიონში პერონის დასავლეთით და შეეცადა ყელის დაჭერას, მაგრამ უკუქცეულ იქნა. საკმაოთ გაცხოველებული ბრძოლის შემდეგ ჩვენ ენერგიულათ დავუშინეთ ყუმბარები სადგურშონს. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარათ ჩაიარა.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

„კიევის მისლი"-ს კორესპოდენტი იტყობინება ჩარტორისკ—როვნო—დუბნოს ფრონტზე დღევანდელ მდგომარეობის შესახებ:

„გადავიდა რა მდ. სტირზე მტერი, გამაგრდა და ფიქრობდა, რომ მის პოზიციებამდი მიუვალი გზა იქნებოდა. მიუხედავათ ამისა, რუსის ჯარი შეუმჩნევლათ გადავიდა მდ. სტირზე, მოექცა მტერს ზურგიდან და შეიპყრა მტრის ბანაკის შუაგულამდი 20 ვერსის მანძილზე. ეს თავდასხმა იმდენათ მოულოდნელი იყო, რომ ბევრი ტყვე დაგვრჩა, მათ რიცხვში ოფიცერთა ჯგუფი. ნაწილი მტრის ჯარისა გაიფანტა პოლონეთის ჭაობებში, საიდანაც თანდათან მოგვყავს ტყვეთ. ახლა მტერი ცდილობს დაკარგული პოზიციების დაბრუნებას რისთვისაც ჯარს აგროვებს ჩარტორისკთან. ბრძოლას აქ უმწვერვალესი ხასიათი აქვს. იტყობინებიან, რომ კლევანიუსთან მტერი ცდილობს იერიშებზე გადასვლას, რისთვისაც ძლიერებს საარტილერიო ცეცხლს ოლიკის მხრით. დუბნოსთან სრული სიწყნარეა. ორივე მხარე თხრილებითა და მავთულიანი ღობეებით გამაგრდა და ერთმანეთს ელიან ბრძოლის გაჩაღებას. სურსათის მიწვდა ჩვენი ჯარისადმი წესიერათ მიმდინარეობს,

— —

ბერლინიდან ცნობაა,—სერბიის შუაგულში სამხედრო ოპერაციების გაფართოებას ხელს უშლიდა სერბიელთა მცირე ჯგუფები, რომელნიც მრავლათ არიან გაფანტულნი მთებში და პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებენ..

—

სალონიკიდან პარიზს ატყობინებენ, რომ მოკავშირეთა ჯარის გადასხმა კვლავ გძელდება და ახლო მომავალში მათ ეყოლებათ დიდძალი და კარგათ შეიარაღებული ჯარიო.

— —

სალონიკიდან იტყობინებიან, რომ ბაბუნის ულელტეხილებში დამარცხებულმა ბულგართა ჯარმა მაშველი ჯარი მიიღო და ემუქრება სერბიის 3 ზიციების გარსშემორტყმას.

— —

სერბიის ოფიციალური ცნობის თანახმათ, ბულგართა სამი პოლკი, რომელიც კალკანდერესკენ მიდიოდა პრიზრენის მიმართულებით გზების დასაკავებლათ, სრულიად ამოწყვეტილია სერბიელებისაგან. უკანასკნელთა ხელშია მაკედონიის შესასვლები.

— —

სალონიკიდან ცნობაა,—ბულგართა ჯარში უკმაყოფილება თანდათან იზრდება, ბელგრადჩიკში ერთმა ბატალიონმა უარი განაცხადა ფრონტისკენ წასვლაზე. ჯარის კაცებს იარაღი აყარეს და თითქმის ბატალიონის ნახევარი დახვრიტეს. ფილიპოპოლში, ვარნასა და კიუსტენდილში რუსოფილობისათვის ბევრი აფიცერი დახვრიტეს.

— —

რკინის გზა ბელგრად-სოფიას შორის თუმცა გერმანელების ხელში, მაგრამ დიდხნობამდი ვერ გამოიყენებენ, რადგანაც სერბიელებმა ყველა ტუნელი ააფეთქეს და ბევრ ალაგას გზა სრულებით გააფუჭეს უკან დახევის დროს.

— —

სევასტოპოლს ატყობინებენ, რომ ბულგარეთში გაგზავნილი ოსმალთა ჯარი თავს ისე გრძნობს, როგორც დაპყრობილ ქვეყანაშიო, ამაყობენ, გამომწვევი პოზიცია უჭირავთ და მშვიდობიან მცხოვრებლებზე ძალმომრეობას ხმარობენ. ამ ნიადაგზე ბულგარეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის ხშირი შეტაკება ხდებათ.

— —

საბერძნეთის სამინისტრო კაბინეტის ახალი შედგენილობა არავითარ ილიუზიებს არ იწვევს საბერძნეთის მომავალი პოლიტიკის შესახებ, რადგანაც ყველა, გარდა ერთისა, გერმანოფილია. ამასთანავე სახალხო განათლების მინისტრი აშკარა მტერია ვენიზელოსისა, სამხედრო მინისტრი ქედს იხრის გერმანეთის სამხედრო ძლიერების წინაშე. პრემიერი 83 წლის მოხუცი სკულუდისი უმნიშვნელო პიროვნებაა.

— —

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მეფე კონსტანტინემ პალატის დათხოვნა გადასწყვიტა, თუ მისი ნების წინააღმდეგ წავიდა.

ლონდონს ათინიდან ატყობნიებენ: ხმებია, მეფე კონსტანტინეს განზრახვა აქვს დიკტატურა გამოაცხადოს, თუ ვენიზელოსტები წინანდებურათ აეწინააღმდეგებიან. პალატას მეფე არ დაითხოვს, რადგანაც არჩევნები მოუხერხებლათ მიაჩნია.

უკანასკნელ ხანებში საბერძნეთში ბევრი გერმანელი ოფიცერი მივიდა შტატსკურ ტანისამოსში გამოწყობილი.

### ბულგარეთი.

ბულგარელ რუსოფილების ბელადებმა გეშოვმა და დანევმა ამ დღეებში ითათბირეს რადოსლავოვთან ბულგარეთის შინაურ და გარეულ მდგომარეობის შესახებ. რადოსლავოვმა განაცხადა, რომ ამ ჟამათ არ არსებობს არავითარი ხელშეკრულობა, რომელიც ბულგარეთ-რუმინეთ-საბერძნეთს აკავშირებდეს. ხოლო ამ სახელმწიფოების ნეიტრალიტეტი ბულგარეთისათვის გერმანეთმა უზრუნველყოვო.

ბულგარეთის ერის უკმაყოფილებაზე ომის გამო რადოსლავოვმა სთქვა: „თუმცა ჩვენი ერი უკმაყოფილოა ომით, მაგრამ იგი თავის მოვალეობას მაინც ბოლომდი შეასრულებს და შედეგები კიდევაც დააჯილდოვებს გაღებულ მსხვერპლისათვის. მაშასადამე, თქვენ ხედავთ, რომ ბულგარეთს არც გარედან და არც შიგნიდან არავითარი საფრთხე არ მოელისო.

### გერმანეთი.

მორიგი ნუმრის სამაგიეროთ „ფორვარტს“-მა ცნობა გამოუშვა, რომ მორიგი ნუმერი თუმცა თავის დროს დაიბეჭდა, მაგრამ სამხედრო ცენზურამ დააკავაო.

შინაური დამოკიდებულება გერმანეთში თანდათან მწვავდება. კანცლერის უარმა სოციალისტების მოთხოვნაზე—მოეწვიათ რეიხსტაგი საჭირო საკითხების გამო და ბერლინში საალყო წესების გამოცხადებამ ბერლინის სოციალისტურ პარტიაზე მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ გაზეთი „ფორვარტსი“ განუსაზღვრელ დრომდი დაიხურა მთავრობის განკარგულებით რეიხსტაგის მოწვევისა და ზავის ჩამოგდების მოთხოვნისათვის.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ ოფიციოზური გაზეთი ნორდეტშ. ალგემ. ცაიტუნგი აფრთხილებს მცხოვრებლებს დიდი ეკონომია დაიკავონ, რადგანაც შეიძლება ომი მესამე წელიწადსაც გაგძელდესო.

### ბელგია.

ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ გერმანულმა სამხედრო საველე სასამართლომ ჯაშუშობისათვის სამ ბელგიელს ჩამოხრჩობა, ხოლო მეოთხეს 12 წლის კატორგა გადაუწყვიტაო.

### გერმანელები პოლონეთში.

როგორც „რუსკ. სლოვო“ იუწყება გერმანიის მთავრობამ გააუქმა ხოლმის გუბერნიის გამოყოფის კანონი და უკანასკნელი შეუერთა პოლონეთს, მთავრობა თავის ასეთ აქტს მით ასაბუთებს, რომ გერმანიის ჯარს ყველგან თავისუფლება შეაქვს და პირველ რიგში მან უნდა აღადგინოს რუსეთის პოლონეთის სრული მთლიანობაო.

### ზავის გარშემო.

დიპლომატიური წრეები იუწყებიან, რომ გერმანიის დიპლომატები შვეციაში ხმებს ავრცელებენ, ახლო მომავალში ზავი ჩამოვარდებაო. სხვათა შორის, ირწმუნებიან, რომ ეს მისია თავს იდო ვატიკანმა და შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა. ბიულოვს მინდობილი აქვს მიიმხროს ისპანია, რომ უკანასკნელმა შუამავლის როლი იკისროს. შვეციის გერმანოფილები მოითხოვენ, საგარეო საქმეთამინისტრი გადაყენებული იქნას, რადგან იგი ანტიგერმანულ აგიტაციას ეწევა.

— —

„რუსკია ვედომოსტს“ ატყობინებენ, რომ იტალიამ გადასწყვიტა თავისი ჯარი მთაშავეთში გადასხას.

— —

„რუს. სლ.“ იტყობინება, რომ სერბიის მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი მიტროვიციდან კრუშევოში გადავიდაო.

— —

„რუს. სლოვოს“ თეირანიდან ატყობინებენ, რომ დაინიშნა რუსეთის რაზმი, რომელიც დაიცავს ოთხთა შეთანხმების ქვეშევრდომებს. შეთანხმების სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ ძალის დატანებით სპარსეთის მთავრობამ ლიკვიდაცია უყოს სპარსეთ-ოსმალეთის ავანტიურას. გერმანელებმა გაავრცელეს ხმები, რომ ისინი წინააღმდეგობას გაუწევენ ჩვენს ჯარს. ოსმალებმა და გერმანელებმა სპარსეთის მოხალისეებს თოფები დაურიგეს. შახი იმუქრება ისფაჰანში წასვლით, თუ რუსის ჯარი თეირანში შევა. უკანასკნელი ცნობებით, რუსეთის ძალები კაზვინიდან ხამადანისკენ გაგზავნეს.

## ქრონიკა.

### რუსეთი.

პეტროგრადიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროს 25 ნოემბრისთვის მოიწვევენო. ბიუროკრატიული წრეები ცდილობენ სათათბიროს მოქმედება მხოლოდ ბიუჯეტის განხილვით განსაზღვროს და საჭიროთ სთვლიან, რომ საერთო ხასიათის ლაპარაკი დახურულ კრებაზე გაიმართოს.

— —

„ნოვ. ვრემიას“ თანამშრომელი კსიუნინი ყალბი ცნობის მოთავსებისათვის რუსის ჯარის გადასხმის შესახებ ვარნაში, პეტროგრადიდან გადაასახლეს.

— —

გზათა საქმეთა მინისტრი რუხლოვი სამსახურიდან გადადგა.

— —

29 ოკტომბერს, მოხდა თათბირი კომისიის თავჯდომარეობით საქონლის გადაზიდვის თაობაზე. თათბირმა სასურველათ იცნო ყოველ 20 რიცხვში იკრიბებოდეს დაწვრილებითი ცნობები საჭირო საქონლის რაოდენობის შესახებ გასაგზავნ და მისაღებ სადგურებიდან, რათა გადაგზავნის საკითხი წესიერათ მოწესრიგდესო.

## ქართული პრესა.

საქართველოს ეგზარხოსის სინოდის მიმდინარე სესიის კრებებზე მიწვევის გამო „საქართველო“ სწერს:

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, საქართველოს ეგზარხოსი, ყოვლად სამღვდელო პიტირიმი, ხელმწიფე იმპერატორს პეტროგრადს გაუწვევია უწმიდეს სინოდის საზამთრო სხდომებში მონაწილეობის მისაღებად. ეგზარხოსების სინოდში გაწვევა ჩვეულებრივი მოვლენაა, სხვა დროს, შეიძლება, ამისათვის არავის არ მიექცია ყურადღება. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამით საქართველოს ეკლესიას არა შეემატებოდა რა. დღეს კი, როდესაც ძველი ცხოვრება ძირან-ფესვიანად ირყევა და სასულიერო სფეროებში მომავალ საეკლესიო კრებისთვის გაცხარებით ემზადებიან, ამ ჩვეულებრივ მოვლენასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, მით უფრო, რომ სინოდში მობრძანდება ისეთი ეგზარხოსი, როგორიცაა ყოვლადსამღვდელო პიტირიმი.

ამბობენ, რომ ეგზარხოსი პიტირიმი კეთილ ნდობით და სურვილებითაა აღჭურვილი, მაგრამ მას სინოდის სფეროებში თანამგრძნობი არა ჰყავს... მაშ ეხლა, როდესაც ის რუსეთის ეკლესიის პოლიტიკას ასე [illegible] ებქს, უნდა ვიფიქროთ, [illegible] ძლებს თავისი კეთილი სურვილების განხორციელებას. ჩვენ, რასაკვირველია, აზრად არა გვაქვს პროგრამა დავუწეროთ ეგზარხოსს, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ მარტო ალავერდის კათედრის აღდგენა და ქუთაისში სემინარიის გახსნა, რასაც დაჟინებით თხოულობს ეგზარხოსი, ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს. რად გვინდა ალავერდის კათედრა, თუ მისს წარმომადგენელს მედავითნის დანიშვნის უფლებაც კი არ ექნება? რად გვინდა ახალი ეპისკოპოზი, თუ იმასაც ის ბედი მოელის, როგორიც რამოდენიმე სხვა ქართველ მღვდელმთავარს, რუსეთში რომ ჰლევენ თავიანთ დღეებს? რად გვინდა ქუთაისის სემინარია, თუ სწავლა აღზრდის საქმე ამ უკანასკნელშიაც იმ მდგომარეობაშივე დარჩება, როგორც ეს დღეს თბილისშია? ამით განა რამე შეემატება საქართველოს ეკლესიას? სასულიერო და საეკლესიო სკოლების ორგანიზაცია დღეს მთელს რუსეთში საჭირ-ბოროტო საკითხადაა გადაქცეული, ამ საკითხის სიმწვავეს განსაკუთრებით ჰგრძნობს საქართველოს სამღვდელოება, რომლის შვილები თავიანთ ახალგაზდობას სლოვენურ ბიბლიის ზეპირებაში ჰკლავენ, ქართულ დაბადებიდან კი ერთ მუხლსაც ვერ იტყვიან. რა ყოფას განიცდის დღეს ჩვენში მრევლი, რა განწყობილება სუფევს მისსა და მღვდლის შორის, რა მდგომარეობაშია ჩვენი ძველი ნაშთები,—ეს ყველა უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს ჩვენს მოხვაიშიადე ეგზარხოსს. დასასრულ, ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ყოვლადსამღვდელო პიტირიმი კატეგორიულად წამოაყენებს სინოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს მას; ამით ის ნათლად დაგვიმტკიცებს თავის მამაშვილურ გრძნობებს და სიყვარულს.

— —

როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ თავის დროზე „მეგობარში“ ბ. გ. მაიაშვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მსოფლიო ომში ინტერნაციონალიზმი დამარცხდა და ნაციონალიზმმა გაიმარჯვაო.

ამ დებულებას, რომელსაც ცხარე კამათი მოჰყვა ჩვენ სოციალისტურ პრესაში, ეხლა „სახალხო ფურცელი“ ედავება.

---

# მგოსანს.

### ძლვნად ცახელს.

ერთს ყვავილნარში, ღამის მგოსანი, საღამოს ჟამსა მღეროდა მარად,
მის ხავერდოვან ხმის ჰანგთა ბგერა შორს გაისმოდა ტყე-მთა და ბარად,
ხან შვება-ლხენის წმინდა ცრემლით მგვრელად, ხან მწუხარების და გლოვის ზარად!
ოდეს ცის თაღზე გამოჩნდებოდა მთვარე პირ ბადრი, სევდის მთოველი,
გარს მყუდროება გამეფდებოდა, ძილს ეძლეოდა ირგვლივ ყოველი:
არსი, სულდგმული, ცა, მიწა, არე, მშობელი მხარე, ტყე-მინდორ-ველი,
მაშინ მგოსანი, თვის საოცრ ჩანგზე იწყებდა მღერას ნაღვლიან ხმაზე,
თვისი სამშობლოს ტანჯვა-ვარამზე, წყლულ-იარებზე და გულის-ოქმაზე;
მწუხარე იყო სიმღერა იგი, შვილის კუბოს წინ მომთქმელ დედაზე!..
...და საღამოს ჟამს, ობლად მჯდომარე, მთით მონაწთომი ცელქ წყაროს პირად,
გულის სიღრმიდან აღმონაგეთქ სიტყვებს მგოსნისას ვუსმენდი ხშირად..
და ყრმა ვხედავდი, მკვნესი ბულბული, თვალთა სიღრმიდან ცრემლებს ვით ღვრიდა,
გულს მიწყლულებდა ქვითინი მისი... და გოდების ხმა მწარ ნაღველს მგვრიდა!..
...დღეს კი არ ისმის სიმღერა მისი! სდუმს იგი ტურფა სამის მფენი!
არ ისმის მისი ჩანგის ჟღერის ხმა, ხმა გრძნობით სავსე და აღმაფრენი!
ვფიქრობ: ოჰ, რისთვის დადუმდა იგი, ნეტა რა სევდა მოაწვა გულზე?
დაჰკარ კვლავ სულის სიმებს, მგოსანო, კვლავ იგალობე სამშობლოს წყლულზე!..

მ. ანაშვილი.

---

# ნიშნობა

პიესა ხუთ სურათად პროლოგით.

### გირშბეინისა.

(პროლოგი)

(დიდი ოთახია. მარჯვნივ და მარცხნივ ფანჯრები და კარები-მარჯვნივ, ფანჯარას თან ტახტზე წევს სნეული დავიდლი. ღამეა. მკრთალათ ანათებს ღამის სანათური.)

**ხაშე.** (ტახტზე ზის და გაშტერებით მისჩერებია ავათმყოფს. სახეზე შიში ეტყობა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ წამოუდგება და ოთახში დადის. ის ებრძვის თავის თავს და ვერ გადაუწყვეტია დატოვოს ავათმყოფი, თუ არა. ბოლოს წყნარათ იღებს სალამურს და თან გააქვს.)

### სიჩუმეა.

**დავიდლი.** (კვნესის და თან ეშინია) ხანელე... შენ არ იქ ამას... დამიცადე... მე ვკვდები... წადით, უთხარით, რომ მე ვკვდები... (ჩაეძინება.)

### სიჩუმეა.

**ხაშე.** (შემოაქვს სალამური და კედელზე ჰკიდებს) ჩემო ძვირფასო შვილო, შენი სუსტი თვალები გულს მიწყლულებენ... (თავისთვის) ხალხი შურიანია ყველას ჩვენზე ედგა კბილი (მიუახლოვდება ავათმყოფს) შენ კიდეც ჩაგძინებია შვილო, ჩემო... (ატირდება).

**დავიდლი.** (შეშინებული გაიღვიძებს).

**ხაშე.** ასე რათ შეკრთი?

**დავიდლი.** (აბნეულათ) არა!.. ისე...

**ხაშე.** (კოცნის) მე დამტანჯე, უფალო, სამაგიეროთ (თვალებში ჩასცქერის) რას მისჩერებიხარ, ჩემო სიცოცხლეო...

**დავიდლი.** (ძლივს ლაპარაკობს) დედა... ეხლავე გაგზავნე ვინმე წისქვილში... ხანელეს ჯვარს დასწერენ სხვაზე... ის სტირის. ძალზედაა, მაგრამ ძალას ატანენ...

**ხაშე.** ეს სიზმარია, შვილო ჩემო... დამშვიდდი...

**დავიდლი.** (აბნეულათ) მე არ მეკითხებიან, ისე ათხოვებენ... ულოცავენ კიდეც... გენახის სახლი განათებულია...

**ხაშე.** შენ მორჩები, ჩემო ბავშვო... ხანელე შენი იქნება...

**დავიდლი.** (ბოდავს) გახსოვს!!. შენ მე სიტყვა მომეცი, რომ შენი ვიქნებიო... შაბათს, ტყეში... არვინ იცოდა... ჩვენ ორნი მარტო ვიყავით... დიახ, სიტყვა მომეცი... მაგრამ მე ვკვდები...

**ხაშე.** (აცრემლებული) ზეციერი მამა არ გამოსწირავს შვილს მწუხარე დედას!.

**დავიდლი.** (უფრო გარკვეულათ) მითხარი, რათ არ მოდის ამდენ ხანს ხანელე... ვინ არ უშვებს მას ჩემთან... დედა, გაგზავნე ბიჭი ხანელესთან... მე თვითონ მინდა ვკითხო, დღეს მას ნიშნავენ... რათ სდუმხარ?.. შენ ყველაფერი იცი... მითხარი, დედა!...

### სიჩუმეა.

**დავიდლი.** (მძიმეთ შეკრთება) დედა...

**ხაშე.** რა მოგდის რა გემართება, შვილო!...

**დავიდლი.** არ მიშვებენ!... მე დამამწყვდიეს... ხანელეს მალე წაიყვანენ...

**ხაშე.** ჩემო სიცოცხლე, რა გაწუხებს, ვინ გელანდება!. რათ იცქირები აგრე... ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ... შენთვის ჩავიდენ ყველაფერს (ეხვევა), შვილო ჩემო... შემოხედე შენს დედას!..

**დავიდლი.** (მისუსტებულის ხმით) მე მოვკვდი... ხანელე სტირის... მორბის ჩემთან... მაგრამ არ უშვებენ... (შეამჩნევს თვალებზე ცრემლებს) შენ რა გატირებს, დედა...

**ხაშე.** (ქვითინებს) ჩემო სიცოცხლეო... ჩემო იმედო .. რა მოგდის?...

**დავიდლი.** შენ ყველაფერი იცი, დედა... მიამბე... (ელანდება) მეც ვიცი... შეხედე როგორ ვარცხნიან მის თმებს... საქორწილოთ აწყობენ! . არა, მე არ ვაპატიებ ამას... არასოდეს... არა...

### სიჩუმეა.

**ხაშე.** (არა ჩვეულებრივ სახის გამომეტყველებას ამჩნევს ავათმყოფს. შეშინებული აქეთ-იქით იხედება, ხომ არვინ მოდისო. გარბის მარცხენა კარებში, მაგრამ ისევ მალე ბრუნდება. სახე თანდათან უფითრდება. ავათმყოფის თავთან დგება. ხელებს იმტვრევს... სახეში მისჩერებია მას.)

**დავიდლი.** (შეშინებული) დედა, სად ხარ?..

**ხაშე.** (ქვითინებს) შენთან, ჩემო სიცოცხლე!

**დავიდლი.** (შეშინებული) დედა... სად ხარ?..

**ხაშე.** შენთან... შენთან ჩემო სიცოცხლეო... (ქვითინი წასკდება)

**დავიდლი.** (ყრუთ) არა...

**ხაშე.** (ქვითინით თმებს იგლეჯს და სახეს იხოკავს) შვილო ჩემო... სიცოცხლეო... (ანჯღრევს.) შვილო, გაახილე თვალები... შვილო!..

(შემოდიან ქალები და კაცები. საწოლთან დგებიან. სახეზე ყველას მწუხარება ეტყობა).

**ხაშე.** (კვლავ ანჯღრევს დავიდლს) შვილო ჩემო... შვილო... (ქვითინებს).

(ერთი შემოსულთაგანი აჩერებს ხაშეს; მეორე აძლევს ნიშანს, რომ დაწყნარდეს).

### (ფარდა).

### სურათი პირველი.

მეწისქვილე გენახის სახლი. თეთრათ შეღებილი ოთახი, უბრალო შეუღებავი სტოლი, მარჯვნივ ორი ფანჯარა. მარცხნივ კარი, რომელიც მეორე ოთახში გადის. კუთხეში სდგას შანდალი. სამ სანთელს უკიდია).

**გენახი.** (სტოლს უზის. დაფიქრებულია).

**პესლი.** (შუა ოთახში სდგას და გენახე მისჩერებია, თითქოს მისგან პასუხს უცდისო).

**ხანელე.** (ფანჯარასთან ზის, ჩაფიქრებულია).

**გენახე.** (ადგილიდან დგება და დანამდვილებით ლაპარაკობს) დაე ასე მოხდეს... როდემდის უნდა ვიცადო! როდის ექნება ბოლო ამ საქმეს!

**პესლი.** ...და შენ ასე გულცივათ ლაპარაკობ ამ საქმეზე...

**გენახი.** მე მამა ვარ და შენ დედა!.. ჩვენ, ორთავეს უფლება გვაქვს დავსტკბეთ ჩვენის შვილის ბედნიერებითა, ღმერთიც ასე ბრძანებს.

**ხანელე.** (დედასთან მიდის და გულზე ეკვრის) მე მაინც მეშინია... მე მაინც მეშინია, დედა...

**პესლი.** (გენახეს) შენ გითხრა რამე?

**გენახი.** ნებასაც არ მივსცემდი!

**პესლი.** როგორ შეგეძლო ნება არ მიგეცა?

**ხანელე.** როგორც დამინახა, მაშინვე ატირდა... ჩუმათ... უსიტყვოთ სტიროდა... მეც ვსტიროდი...

### სიჩუმეა.

**ხანელე.** (ამოიოხრებს) მის თვალებში იხატებოდა მუდარა... გრძნობით შემომჩეროდა და ორთავე ვსტიროდით...

**გენახი.** უნდა გეთქვა, რომ დედამის ნუგეში მხოლოდ შენ იყავი... რომ მარტო შენით მოელის ჩვენი ოჯახი ბედნიერებას!..

**პესლი.** უნდა გეთქვა იმისთვის, რომ პირველი შვილი მიწას მივაბარეთ... ერთადერთი იმედი შენა ხარ ოჯახისთვის. უნდა გეთქვა, რომ ჩვენ თანახმა არა ვართ თქვენი ბედნიერებისა!..

თავის დაუსრულებელ წერილებით ცნობილი თ. ღლონტი სწერს:

ამ რიგად, თუ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღევანდელმა ომმა გამოამჟღავნა ნაციონალიზმის გამარჯვება, ამასთანავე ერთად გამარჯვებულმა ნაციონალიზმმა დაგვიმტკიცა მთელი თავისი სისუსტე. აღმოჩნდა, რომ ნაციონალიზმი არ არის მარადიული მდგომარეობა, რომლისაკენ უნდა მიისწრაფოდეს კაცობრიობა საუკეთესო წყობილების დასამყარებლად. ასეთია ფედერალიზმი, რომლის ძალა თანდათან აშკარავდება, მტკიცდება, რაიცა ეხლანდელმა ომმა თავის წიაღში წამოაყენა, როგორ უარმყოფელი ერთის მხრით კოსმოპოლიტიზმისა და მეორე მხრით ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისა.

ნაციონალიზმი და ფედერალიზმი რომ ერთი არ არის, ეს ყველამ იცის. მაგრამ როგორ გინდათ მოუაროთ საკითხს? ერთი და იგივე მიმართულების ხალხი ერთ გაზეთში ამბობს, რომ ნაციონალიზმა გაიმარჯვაო, მეორეში—ფედერალიზმაო.

მათ შინაურ დავიდარაბაში ჩარევის სურვილი ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ,—რომელმა მათგანმა გაიმარჯვა, ფედერალიზმმა, თუ ნაციონალიზმა.

პირადათ ჩვენ ამაში ბ. თ. ღლონტის „პუბლიცისტიკის“ გამარჯვებას უფრო ვხედავთ „სახალხო ფურცელში“. ამ ბოლო დროს, ამ გაზეთში, როგორდაც ბ. ღლონტის წერილებისს მეტი არა იბეჭდება რა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატესაც იერიში უფრო გაზეთ „მეგობარზე“ და მის პუბლიცისტებზე მიაქვთ, ვიდრე „სახალხო ფურცლის“ კინემატოგრაფიულო სტატიებზე.

---

# მ ე რ ე?

ქართულ პრესას უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება დაეტყო. არ დარჩა არც ერთი მიმართულების გაზეთი, რომ ეთგვარი ექსპოზე არ მოეხდინა. თანამედროვე მომენტის ახსნა-განმარტებამ ხელახლა ტაქტიკისა და თეორიის გამომზეურება გამოიწვია, ამ ტაქტიკაში და თეორიაში ახალი რამეც არის, არის ისეთიც, რომელიც ისევ ძველ დროებს გვაგონებს, მაგრამ ყველა მიმართულება ეცადა თავისი თავი დაენახვებინა. როცა პარლამენტარული ექსპოზე ხდება, როდესაც ერთის მხრივ მინისტრები გამოდიან თავის დეკლარაციებით და მეორეს მხრივ პარტიები—პარლამენტი ყველა ამას დასკვნას უკეთებს და პოლიტიკის ერთ დედა აზრს ადგენს. ჩვენ? გავუკეთეთ ერთი დასკვნა ყველა იმის, რაც ითქვა, რაც დაიწერა? ჩვენ სასტიკათ დავჰმეთ ერთმანეთი და დავიშალენით. აი, სად გამოსჭვივის სრული უქონლობა პოლიტიკის და შეუგნებლობა მოვალეობისა! საქმე კი ჯერ არ დამთავრებულა და ისევ ისე გაისმის კითხვები: რა უნდა ვქნათ, რომ საერთო პოლიტიკა არა გვაქვს, რა უნდა ვქნათ, რომ ესა და ეს გვაკლიაო? რანაირ სასტიკადაც უნდა ვებრძოდეთ ერთმანეთს პოლემიკის დროს, ჩვენი მოვალეობაა გვახსოვდეს, რომ უსწორო აზრი შეიძლება ჩვენცა გვქონდეს და სწორი კიდევ მოწინააღმდეგეს. და ყოველ ასეთ პაექრობის შემდეგ, კითხვა უნდა მივსცეთ ჩვენთავს: კამათით კი ვკამათეთ, მაგრამ ვინ აჯობა? ამ საკითხს არასოდეს არ ვაყენებთ და სულ იმის იმედი გვაქვს, რომ მკითხველი ჭკვიანია და ის თვით გამოიცნობს გამარჯვებულს და დამარცხებულს, ჩვენი მკითხველი რომ გონიერი უნდა იყოს, ეს სასურველი მაინც არის, თუნდაც ფაქტი არ იყოს. მაგრამ ჩვენი კამათი განა მარტო მკითხველებს ეხება? სად შეუძლიან გუთნის დედას იმის გამოცნობა, ვინ არის მართალი ბ. მაიაშვილი, თუ ბ. ანი? საკითხი კი მათაც ეხება. ამიტომ საჭიროა, რომ თვითონ ჩვენ მოკამათეებმავე ვიკითხოთ ხოლმე—ვინ გაიმარჯვა? მაგრამ პასუხი მართალი და პატიოსანი უნდა იყოს. ცამეთანხმებით, რომ არ შეიძლება ისე წერა რიგიულ საკითხებზე, როგორიც არის მაგალითად ბ. არ. ჯ—შვილის წერილი ბ-ნ ანის საპასუხოთ. ან კიდევ არ შეიძლება ისე საკინძ ჩამოხსნილათ ლაპარაკი, როგორც ეს „ზვირთის“ სჩვევია, რომელსაც თავი პარიზის „საქართველოს“ მემკვიდრეთ მოაქვს. განა შიშმა არ უნდა მოგიცვათ და განა ყველა წმინდანების შეგინება არ არის, როდესაც წმინდა საფლავზე ღორი წვება და იძახის აქ დედა ჩემი მარხიაო. ყველაფერი ეს შეუძლებელია და ყველაფერი ეს ასაკრძალავია. საჭიროა მართალი სიტყვა, თუნდაც იმიტომ, რომ იცოდე შენი სუსტი და შენი მაგარი მხარე.

ჩვენში ეს არ ყოფილა და არც ამ უკანასკნელ კამათს მოჰყოლია. გავილანძღენით და აღარ ვიცით, რა ვქნათ მერე?

---

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

1 ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობისა და რაიონების კომისიის წევრების შეერთებული კრება, რომელზედაც დაადგინეს: 9 ნოემბერს, გენერლის ქუჩაზე, გახსნან კოოპერატიული ფურნე და მწვანე ბაზარში მისი განყოფილება.

✦ ქუთაისის პარიკმახერებმა დაქირავებულებმა ბ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ კვირა უქმე დღეებში მათი სახელოსნოები დაკეტილი იქნეს. ბ. გუბერნატორმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ვინც კვირა უქმი დღეს იმუშავებს, პირველად დაჯარიმებულ იქნება 10 მ. მეორეთ 15 მ. და მესამეჯერ 25 მ. ფული გადაიდება ომით დაზარალებულთათვის.

✦ შაბათს, 31 ოქტომბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნა პიესა „ციმბირელი“ საზოგადოება ცოტა დაესწრო.

✦ კვირას, 1 ნოემბერს, დრამატიულ დასის მიერ ქუთაისის ქართულ თეატრში წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ღალატი“ დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის სახელზე მეფის მოადგილის კანცელარიიდან დეპეში მოვიდა, რომ მეფის მოადგილის განკარგულებით, 10 ნოემბერს ქ. თბილისში მოხდება განსაკუთრებული თათბირი სიძვირესთან საბრძოლველათ ზომების გამოსანახავათ. რომელშიაც თავ. ნიჟარაძეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს. ამავე საკითხის შესახებ ბ. გუბერნატორმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ მასაც აქვს უფლება თათბირზე მონაწილეობის მიღებისა და აგრეთვე უნდა აირჩიონ ორი წარმომადგენელი ხმოსნებიდანაც.

✦ გუშინ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დარბაზში დაიწყო პირველი ხარისხის „წითელ ბილეთიან“ ჯარის კაცების შემოწმება, რომელიც გაგრძელდება 5 დღეს.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ქალაქის ინჟინერ ფრიკს, რომ წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რამდენი დაჯდება 1916 წლის განმავლობაში განათება. ქუჩებზე და ქალაქის გამგეობის შენობის შეკეთება. ქალაქის მიწის მზომელს ტატარენკოსაც მოეთხოვა, სალორიის ეკ?ორის საავარაკო ექსპლოატაციის ხარჯთაღრიცხვა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო აგრონომმა დანილოვმა 29 ოქტომბერს, დაუგზავნა სამაზრო აგრონომებს ბ. ბ. გედევანიშვილს, ფალავანდიშვილს პერმანს, პანესევიჩს და ბოგდანოვს „ინსტრუქცია“ მიწის დამუშავების ნიადაგის გაპოხირების და სიმინდის თესვის შესახებ.

✦ დ. ყვირილისა, ს. ტამაკონის (სენაკის მაზრა) და დარჩელის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ მათ მომხმარებელი საზოგადოებანი „ჩვენი სავაჭრო“, „სინათლე“ და „სიმართლე“.

✦ 1 ნოემბერს ქალა ქისსაბჭოს დარბაზში მოხდა საზოგადო კრება ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. ამ კრების უპირველესი მიზანი იყო გამგეობის ახალ წევრითა ამორჩევა. ერთხმად ამოირჩიეს „თავჯდომარეთ მომავალ გამგეობისა ვიცე-გუბერნატორის მეუღლე მ. ა. ვენტცელისა და მის თანაშემწედ ქ-ნი ამასოვიას. ამათ გარდა წევრებათ ამოირჩიეს შემდეგი პირნი: ალ. გარსევანიშვილი, შ. სანიკიძე, პ. უზნაძე, ქ-ნი აფანასიევისა და ს. წერეთელი; კანდიდატებათ ბა-ნი მ. ლორთქიფანიძე, ქ-ნი უსტინოვისა და ვ. ჰილაძე (ამან უარი განაცხადა). სარევიზიო კომისიაში დარჩა ორი ძველი წევრი ი. ჩიმაკაძე, ივ. პურადაშვილი და არჩეულ იქნა ერთი ახალი ის. კემულარია.

გამგეობა ამ მოკლე ხანში შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას და ეცდება წინ წაიყვანოს ისეთი სიმპატიური საზოგადოება, როგორიც არის ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოება.

## ს ო ფ ლ ა თ.

— ს. ხოტევერის (რაჭის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე ნება დართონ გახსნან ადგილობრივ მცხოვრებთათვის მომხმარებელი საზოგადოება „წარმატება“.

— ს. ოჩხომურის (ზუგდიდის მაზრა.) მცხოვრებს მაკრინე კუჭულორიას სახლსუდრის უცნობმა ვიღაც ცეცხლი წაუკიდა, სახლი მთლათ გადიწვა, ზარალი 227 მანათს

— 19 ოქტ. ს. ჯუმათის (ზუგ. მაზ.) მცხოვრებს სოფლის მამასახლის უდრის იაკობ გულეას. დაუწვეს სახლი, ზარალი 905 მანეთს აღემატება

— 24 ოქტომბერს, ს. აბასტუმანის (ზუგ. მაზ.) მცხოვრებს ეგნატე ლახართიას დაეცა ცნობილი ყაჩაღი ლადო ყურაშვილი და მძიმედ დაჭრა სახლის პატრონი.

✦ ქ. ოზურგეთში გაიხსნა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება. წევრებათ ამ საზოგადოებაში ამოირჩიეს თ-დი დიმიტრი კ. ერისთავი (თავჯდომარე), თ-დ. ივანე დავ. ნაკაშიძე (თავჯდომარეობს ამხანაგი), თ-დი იოსებ კ. ნაკაშიძე, რუბენ ლევ. ჩხაიძე, პარმენ ს. თოთიბაძე, გერმან იოს. გოგიტიძე და დომენტი ზ. თალაქვაძე. კანდიდატებათ:

სამსონ ვაშაკიძე, ვლადიმერ სულაკველიძე და სიმონ ცხომელიძე.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ შემომწირველთა სიაში შეცდომით იყო აწყობილი ალექსანდრა შარაბიძისა, უნდა იყოს ალექსანდრა ბარაბაძისა.

---

## თ ფ ი ლ ი ს ი.

— მიუხედავათ ნიხრის გადიდებისა, პური მაინც ცოტა იყო გუშინ თბილისში. გუშინა და გუშინწინ ქალაქის გამგეობამ 25 ვაგონი ფქვილი დაურიგა მეფურნეებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაღაც მოსაზრებით, გამგეობა მეთონეებს არ აძლევს ანუ ნაკლებად აძლევს ფქვილს და ამის გამო მეფურნეები ვერ ასწრებენ ანუ განგებ აგვიანებენ პურის გამოცხობას. სამეურნეო კომისიის წევრმა ხმოსანმა კეილმა ეს გარემოება მიიღო მხედველობაში და გამგეობას წინადადება მისცა, რომ უპირატესობას ნუ აძლევთ მეფურნეებს და ფქვილი მეთონეებსაც მიჰყიდეთო. ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ინსპექტორის ცნობებით, თბილისში პური სულ ორი დღის საკმარისი იქნება, მაგრამ მანამდის მოვა რკინის გზით ფქვილი.

— ჩრდილო კავკასიაში დ. ლუკაშვილის მიერ ხორბლით დატვირთულ ორმოცი ვაგონიდან გუშინ დილით ნავთლუღში მოვიდა 20 ვაგონი. ეს პირველი პარტიაა კახეთისათვის ნასყიდ საკვებისა.

— თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა პეტროგრადიდან დეპეშით სთხოვა გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. მ ა. სუმბათაშვილს, რომ ბ-ნ ი. ნიკოლაძე ჯერ თუ არ წამოსულა პეტროგრადს, დააჩქარებინეთ წამოსვლაო. თავ. სუმბათაშვილმა უპასუხა, რომ ნიკოლაძე 29 ოქტომბერს წამოვიდაო. როგორც ვიცით, ბ-ნი ნიკოლაძე მიტომ წავიდა პეტროგრადს, რათა დააჩქარებინოს მთავრობას გამოკვლევენა, რომ კახეთის რკინის გზა უკვე შევიდა საექსპლოატაციო ფაზაშიო.

— პირველი რიგის 1897—1895 წლების რატნიკების ჯარში გაწვევის შესახებ კითხვა ჯერ არ აღძრულა. არ აღუძრავთ აგრეთვე კითხვა 1902 წლის და უხნესი მეორე რიგის რატნიკების გაწვევის შესახებ. ხელმეორეთ შემოწმება სათადარიგო და რატნიკებისა, რომელნიც მობილიზაციის დროს ავათმყოფათ იცნეს, ივლისის 15-დან დაიწყეს. თეთრ ბილეთიანების ხელმეორეთ შემოწმება სახელმწიფო დუმამ მოითხოვა და ამ კითხვას იხილავს სამინისტრო და სამხედრო შტაბი. მოსალოდნელია ხელმეორეთ შეამოწმონ 8—14 წლისანი. რაც შეეხება იმ თეთრ ბილეთიანებს, რომელნიც სამხედრო სამრეწველო ქარხნებში მუშაობენ—მათ გაიწვევენ თუ არა, ჯერ საბოლოოთ არ გადაუწყვეტიათ.

— ბაქოს ლიანდაგის სადგურ აჯიკაბულის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეებმა დეპეშით სთხოვეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს—აღმოგვიჩინეთ სამობილიზაციო დახმარება იმ თანხიდან, რომელიც მთავრობამ გადასდვა იმ რკინის გზების მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომელნიც სამხედრო მოქმედებათა რაიონებში იმყოფებიან, ვინაიდან ბაქოს ლიანდაგიც ასეთ რაიონში იმყოფებაო. მოსამსახურენი დეპეშაში, სხვათა შორის, შემდეგს აღნიშნავენ: „პირველი მოთხოვნილების უსაჭიროესი საგნები თითქმის სულ არ იშოვება, რაც არის, ისიც ისე გაძვირდა, რომ ეკონომიურათ ძლიერთათვისაც საგრძნობი შეიქნა ეს და ჩვენ, დაბალი მუშა-მოსამსახურენი ქრონიკულ შიმშილს განვიცდითო .. ბაქოს ლიანდაგი ცნობილია დამპალი ცებ-ცხელებით (მალარიით) და მასიური ავათმყოფობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ამას ემატება შრომის მძიმე პირობები... და სხვა. „თუ ჩვენი თხოვნის დაკმაყოფილება თქვენს უფლებებს აღემატება, გთხოვთ ამის შესახებ იშუამდგომლოთ მეფის მოადგილის წინაშე“-ო.

---

# ქურდობა.

ქურდ-ბაცაცებმა თავი იჩინეს. დამე ისე არ გაივლის, რომ ოჯახი არ გაქურდონ. ასეთი ამბები ხშირად ხდება ბალახვანის ქუჩაზე. ერთი კვირის წინათ გაქურდეს მღვდ. კანდელაკის სახლი. „უბედურ კაცს ქვა აღმართში ეწეოდა“-ო, სწორეთ ისე დაემართა მასაც. საბრალოს, მიცვალებული სახლში ესვენა, რომ ბოროტ-გამზრახველნი შეიპარნენ ღამით და წაიღეს აივანზე დაკიდებული ტანთსაცმელი. შემდეგ მღ. კონსტანტინე შანიძესაც მოჰპარეს ბალიშები და სხვა. 30 ოქტომბერს კი გაქურდეს ელისაბედ ხოფერია. გამოჭრეს აივნის ფანჯრის მინა და წაიღეს ყოველი რაც კი შეხვდათ ტანსაცმელი. ზარალი 300 მან. აღემატება. რამოდენიმე პირი დააპატიმრეს, მათ შორის არიან ქალებიც. ყოველი მხრიდან უბედურება გვადგია, შევიწროება და შეწუხება. საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებით ბალახვანის მცხოვრებლები. როგორც დაღამდება თუ, არა მაშინვე სახლში უნდა ჩავიკეტოთ, გარეთ ვეღარ გამოვდივართ. შიში გვიპყრობს. ჩხუბსა და აყალ-მაყალს ამ ქუჩაზე ხომ ანგარიში არ აქვს. ვსთხოვთ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ, ვისგანაც ჯერ არს.

თამარა მეხხი

---

ხანელე. როგორ შემეძლო ასეთი სიტყვები მეთქვა მისთვის?! არასოდეს, არასოდეს არ ვეტყვი ამას!

(ცოტა ხნით ჩაფიქრდება) შენ თვითონ არ მასწავლე დედა, სიყვარული?! შენ არ შემაყვარე ის? (ამოიოხრებს) მეც შევიყვარე... სიცოცხლეს დავსთმობდი მისთვის... მიყვარდა... ეხლაც მიყვარს დედა... ეხლაც (ჭკოცნის).

### ს ი ჩ უ მ ე ა.

ზაიე, (შემოდის) საღამო მშვიდობისა!

პესლი. მობრძანდით!.. მობრძანდით... მარტო ბრძანდებით?

გენახი. ვისაც არ გამოუცდია მარტო ღამით სიარული...

ზაიე. (აწყვეტინებს) როცა საჭიროა წახვალ (ხანელეს), როგორ ცხოვრობ, ხანელე? (იხედება აქეთ-იქით) სინათლე ელვარებს თქვენს ოთახში. ღმერთმა მოგანიჭოსთ აგეთი ნათელი საქმე!

ზაიე. (ხანელეს) ჩემო ჩვირფასო... რათ გაფითრებულხარ?.. რათ იწუხებ უძილობით მაგ ლამაზ სახეს?..

ხანელე. (იბნევა).

პესლი. ჩემი ქალი გვიან იძინებს... სულ რაღაცაზე ფიქრობს. დილითაც ადრე დგება!

ზაიე. მართალია, ხანელე?.. (მიჰყავს ფანჯარასთან და ორთავე ჯდებიან). ხანელე, აღარ გინდა ჩემი დედობა?

ხანელე. (წითლდება).

ზაიე. დაფარული არაფერი ვარგა! დიდი ხანია, ხანელე, ჩემთვის გფიქრობდი, დიდი, დიდი ხანია, მაგრამ თქმა ვერ გამებედა. დღეს კი ურცხვათ შემოვსულვარ შენს სახლში და რაკი საქმემ ასეთი ბოლო მიიღო,—ძლიერ სასიხარულოა... ძლიერ...

გენახი. ჩემი გონება შებოჰვილია. როცა ღმერთს ადამიანის დასჯა სურს, გზასაც მონახავს. ღვთის წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელია! მე უბრალო მეწისქვილე ვარ, მაგრამ ნათლათ ვხედავ რომ ის, ვინც ცაშია,—განრისხებულია ჩემზე... (ჩაფიქრდება).

პესლი. დედის გული დასერილია... რა შემიძლია მე უბედურს!—რა..

ზაიე. ეხლა ხომ ნათელია ყოველივე... ეხლა ხომ გარკვეულია საქმე?

პესლი. ჯერ კიდევ არა არის რა გარკვეული. ჩვენ, შეიძლება, მიწაზე ვხატავდეთ ცხოვრებას!...

ხანელე. უბედური, ძლიერ ავათაა... მე არ მინდა, რომ ის მოკვდეს!... (სიჩუმე. ყველა გაკვირვებით შესცქერის ხანელეს.)

ზაიე. (ხანელეს) სულელო, ადამიანი კვდება თავის ცოდვებისაგან!—გათავდა. დედის ერთა ხარ... ღმერთი გაპატიებს...

პესლი. (შეწუხებული) მე რაღა მეთქმის მე, უბედურ დედას!.. ღმერთო, ნუ მომასწრებ ჩემი შვილის უბედურებას, თორემ რაღა იქნება ჩემი სიცოცხლე.

### ს ი ჩ უ მ ე ა.

გენახი. (ფანჯარაში იყურება.)

ხანელე. მამა, ხომ არავინ მოდის?

გენახი. მინდა გავიგო, რომელი მხრიდან უბერავს ქარი!...

ზაიე. (გენახს) მე ეხლა რაბინთან ვიყავი... მას ყველაფერი ვუთხარი... ვუთხარი, რომ შენი ქალი დანიშნულია დანიელის შვილზე და აგერ ერთი დღეა, რაც საქმრო მძიმე ავათაათქო...

იგეც ვუთხარი, რომ ხანელე ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსეა, დედის ერთაა და მშობლები მისგან მოელიან ბედნიერებასთქო, ვსთხოვე რომ ის დაგვხმარებოდა ამ საქმეში ღმერთთან... და ხანელე გაენთავისუფლებია დაავადებისგან...

პესლი. (ცრემლებს იწმენდს.)

გენახი. მერე რა სთქვა?

ზაიე. „თითონ ხანელე მივიდეს დავიდთან და სთხოვოს, რომ გაათავისუფლოსო,—ბრძანა მან.

### ს ი ჩ უ მ ე ა.

ხანელე. (აბნეულათ) მე არ შემიძლია... მე ძლიერ მეშინია...

პესლი. შვილო, წახვალ მასთან?...

ხანელე. (არ უპასუხებს.)

გენახი. (ხანელეს) არ გესმის? დედა გეკითხება.

ზაიე. მთელი ქალაქი აცრემლებულია... ყველა ევედრება ღმერთს, რომ მან გაპატიოსთ!...

გენახი. მე უბრალო კაცი ვარ... თუ რაბინი თავისი უცოდველი გნით მიბრძანებს,—მე მჯერა!

ზაიე. მე თვითონ ვისმინე მისგან! ის ასე გვიბრძანებს!

პესლი. (ცრემლებს იწმენდს) გული ჩემი დაღარულია ტკივილისა და შიშისაგან... (ხანელეს ეფერება) მისმინე, შვილო ჩემო, მისმინე, მე გასწავლი რა უნდა სთქვა!...

ზაიე. სჯობია უსმინო შენს დედას!. ის კარგს დარიგებას მოგცემს...

ხანელე. დედა ეს არ შემიძლია... არ შემიძლია... არა, არა...

პესლი. შენ შესტირე მას... შენ უთხარი, რომ სულ ამის ღმერთს იფიცებ...

ხანელე. (სტირის) დედა, მე ეს არ შემიძლია!... შენ არ იცი დედა, როგორ სტიროდა ის ჩემთვის ერთხელ, როცა მის სახლში ვიყავი?...

ზაიე. (ხანელეს) ებრაელ ქალისთვის აგეთი ლაპარაკი ცოდვაა, ცოდვა...

ხანელე. (ცრემლებს იწმენდს).

გენახი. (ხანელეს) გრცხვენოდეს, შეიბრალე შენი მამა!..

ზაიე. მთელი ქალაქი შენთვის ილოცავს, რომ შენ არ დაისაჯო!..

გენახი. (ხანელეს ჰკოცნის) უსმინე შენს უბედურს მამას!... ის სიმართლეს გეტყვის... მე თვითონ წაგყვები მასთან .. შეიძლება გაპატიოს... მე ვილაპარაკებ შენს მაგივრათ, შენ მხოლოთ სთქვი, რომ დედმამის წინააღმდეგი არა ხარ...

(შემდეგი იქნება).

# პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

**გურია.** დადგა სეზონი თამბაქოს გაყიდვისა და გურიასაც ჩვეულებრივათ ესტუმრენ მყიდველები, რომელნიც ათასგვარ ხერხს ხმარობენ თამბაქოს მუქთად ხელში ჩასაგდებათ. თამბაქოს დღეს დიდი გასავალი აქვს, და საჭიროა სოფლის მოწინავე პირებმა და კოოპერატიულმა დაწესებულებებმა ხელმძღვანელობა გაუწიონ ხალხს, რომ თვისი ნაწვავ-ნადაგი იაფად არ გამოაცალონ ხელიდან საწყალ მეურნეებს. სოხუმში ამ ჟამათ ფუთი თამბაქო 20-50 მანეთამდი ფასობს.

— —

**დ. აბაშა.** მომხმარებელმა საზოგადოებამ უკვე მიიღო ნებართვა თავისი მოქმედება განაახლოს. ასეთი საზოგადოება აქ უკვე არსებობდა, მაგრამ ცუდი ხელმძღვანელების წყალობით უდღეოდ გამოდგა. იმედია, ახლა მაინც სულითა და გულით მოეკიდებიან ამ სიმპატიური საზოგადოების გაფართოებას.

— —

**ბაქო. ბიბიეიბათი.** სანოვაგის გაძვირების გამო ნავთის სამრეწველოებში მომუშავეებს ჯამაგირი მოუმატეს. ზოგს თვიურად 5-15 მანეთამდი დახმარებას აძლევენ ომის გათავებამდი. ზოგიერთ ფირმაში მომუშავეები ასეთ მცირე დახმარებასაც მოკლებული არიან, ამ დღეებში „ყოფილ ბეირინგის" აქციონერულ საზოგადოებაში მომუშავეებმა ადმინისტრაციას მოთხოვნილება წაუყენეს ჯამაგირის მომატების შესახებ. თუ მუშებს არ დააკმაყოფილებენ გაფიცვით ემუქრებიან.

— —

**სოხუმი.** დღევანდელმა მდგომარეობამ სანოვაგე სოხუმშიაც გააძვირა. ხალხი ძლიერ შეწუხებულია. ადგილობრივი ადმინისტრაცია სიძვირის საწინააღმდეგო ბრძოლაში უმოქმედობას იჩენს. ამ დღეებში აქ დაიწყებს მუშაობას კოოპერატივი „ხოზიანი".

— —

**ოძისი.** (დუშეთი). ამ სოფელში ჯერ კარგი მოსავლის დროს არ მოდიოდა საყოფი სარჩო და წელს ხომ მცხოვრებლებს რამდენიმე თვის საყოფიც არ მოუვიდა. ყურძნის მოსავალიც ძლიერ ნაკლები იყო. ჩარჩ ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. გირვანქა ნავთს 2 შაურად ყიდიან, შაქარს 39 კ. ამავე დროს ცდილობენ გლეხის ნაწარმოებნი ჩალისფასათ ჩაიგდონ ხელში.

— —

**ს. ახალ გორი.** ახალ გორში დაარსდა კომიტეტი, რომელიც აგროვებს ფულს და ქირნახულს ომისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

— —

**ფოთი.** ცერკოვნი ქუჩაზე 28 ოქტომბერს, ვასილ თოფურიას თავს დაესხენ ბოროტმოქმედნი, როცა იგი მაღაზიიდან შინ ბრუნდებოდა თავისი შვილით. თოფურიას შვილმა თავდამსხმელებს რევოლვერი ესროლა. სროლის დროს მძიმეთ დაიჭრა მამა. თავდასხმის მიზეზი ფულის მოთხოვნა ყოფილა და რაკი თავის დროზე არ მიუცია 10000 მანეთი, თავისი მუქარა სისრულეში მოუყვანიათ შანტაჟისტებს.

---

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**პარიზი.** 31 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. გასული დღის განმავლობაში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო, განსაკუთრებით ბელგიაში ბუზინგეს რაიონში, არტუაში, კოლონის ხრამის სექტორში, რომის ჩრდილოეთით დომპიერის ახლოს, მაასსა და მოზელს შუა მდებარე მიდამოებში და აპრემონულს ტყეში. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა.

**ბალკანეთის ფრონტი.** 24—26 ოკტ. ჩვენმა ჯარმა ბევრი ადგილი დაზვერა. შეტაკება არ ყოფილა. 28 ოკტ. ბულგარელებმა კრივოლაკს მძლავრათ დაუშინეს ყუმბარები. მდ. ცონის ნაპირზე ჩვენ დავიკავეთ სოფელი კრუჟევცი და სირხოვო. ვალენდოვო—ბროვოტის რაიონში 24 ოკტ. სერიოზული არა მომხდარა.

**ჰავრი.** 24 ოკტ. ბელგიის ცნობა. ბელგიის ფრონტზე სიწყნარეა.

**რომი.** 31 ოკტ. მთავარი ბინის ცნობა. 30 ოკტ. ჩვენმა რაზმებმა მთელი რიგი მარჯვე დავდასხმა მოახდინეს მტერზე კაგერა—ადიჟის მიდამოებში, სადაც მათ გააფუჭეს რკინის გზა და ხიდები. კორდევოლეს ზემო ნაწილში ჩვენი შეტევა გძელდება, იზონცოს შუა მიმდინარეობაზე გუშინ სასტიკი ბრძოლა ხდებოდა. ჩელესკის სამხრეთ ფერდოებზე, აგრეწოდებულ მონტეკალვარიასთან მტერი რამდენსამე მეტრის მანძილზე მოუახლოვდა ჩვენს თხრილებს, მაგრამ უკუქცეულ იქნა ჩვენი არტილერიის გამანადგურებელი ცეცხლით, რის შემდეგაც ჩვენი ჯარი თვით გადვიდა კონტრიერიშზე, გაფანტა მტერი და ბრძოლით აიღო თხრილი, წამოიყვანა რა 70 ჯარის კაცი 4 აფიცრით. დანარჩენი ნაწილი მტრისა სრულიად ამოწყვეტილ იქნა ჩვენის ცეცხლით. კარსოზე ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა დიდი თავგანწირვით. ჩვენ ავიღეთ მტრის სიმაგრე. ჩვენმა ჯარმა და უფროსებმა დიდი მამაცობა და ძლევამოსილება გამოიჩინეს ამ ბრძოლაში.

**ცეტინიე.** 30 ოქტ. პრესის ბიურო იტყობინება, რომ სინჯაკის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა ჩვენს სასარგებლოთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 125 ჯარის კაცი და დაგვრჩა ბევრი სამხედრო დავლა.

**რომი.** 31 ოქტომბერი. ჩვენი შეტევა ენერგიულათ გრძელდება. მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში მთელს რაიონში ჩვენ რამდენიმე წარმატება გვქონდა. ლაგარინის ჰალეში გაროს მიდამოებში ხელში ჩავიგდეთ მთები; ჩრდილოეთით ლიბანის გზით ამავე დროს ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ესროლა ვოდიანოს, სადაც იმყოფებოდა ავსტრიის ერთერთი ჯარის ხელმძღვანელი შტაბი. კამპელოს ჰალეში ალპიელთა მოხალისე რაზმმა მოხერხებული დაზვერვის დროს ლემონტალის მიმართულებით იერიში მიიტანა მოპირდაპირის ძლიერ რაზმზე და გაფანტა. ფორნელლდოვალსორიდან გამოსული ჩვენი ჯარი თავის ოპერაციებს განაგრძობს კორდევოლის ზემო ნაწილში მთის დანარჩენი ქედების ხელში ჩასაგდებათ. გორიცის ჩრდილოდასავლეთ მაღლობებზე სასტიკი ბრძოლა ხდებოდა, ხანგამოშვებითი წარმატებით სოფელ სოსლავიის გარშემო და მთის ქედის კალვარიის ფერდობთან. აქ ხელში ჩავიგდეთ 50 ტყვე სამი აფიცრით კარსოსკენ ჩვენი ჯარი წინწაწევას განაგრძობს,ართმევს რა მტერს თხრილებს ხელიზედ. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ წარმატებით ვმოქმედებდით ბაშინის ოლქში, ავიღეთ იერიშით მტრის რამდენიმე სიმაგრე და სანგრები, რომელნიც შევინარჩუნეთ, მიუხედავათ მტრის ძლიერი კონტრიერიშებისა.

**პარიზი.** 30 ოქტ. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში, ბესინგის რაიონში ჩვენმა არტილერიამ მარჯვეთ დაუშინა ცეცხლი გერმანელების პოზიციებს და განსაკუთრებით ორთქლის წისქვილს, რომელიც სრულიად გაანადგურა. მოხერხებულმა სროლამ მტრის ბატარეა ჩააჩუმა. ფლირის სექტორში სროლა სწარმოებდა.

31 ოქტომბერი. ოფიც. ცნობა. აღმოსავლეთის არმია 28-29 ოქტ. ბულგარლებმა იერიში მოიტანეს სოფ. კრუჟონიკ-სირნოვოზე, რომელნიც ჩვენ დავიკავეთ 28 ოქტომბერს, მაგრამ იერიშები მათი მოგერებულ იქნა. შემდეგ თვითონ ჩვენ მივიტანეთ იერიში მტერზე და დავიკავეთ სოფელი სისოვო. ვოლენდოვოს ჩრდილოეთით ხელში ჩავიგდეთ ბულგარლების საველე სიმაგრე.

**პარიზი.** 30 ოქტომბერი. სერბიის ცნობა. 28 ოქტომბერს სრულის წესრიგით ჩვენ დავიკავეთ თავდასაცავი პოზიციები კრალიევოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და ივანიცის აღმოსავლეთით. ასევე აღმოსავლეთის ფრონტზე სამხრეთ გორაცის მარცხენა ნაპირზე, სადაც 28 ოქტომბერს სასტიკი ბრძოლა იყო.

**პარიზი.** დღის ოფიციალური ცნობა. ლოოსის სექტორში და კალონსკის თხრილებთან ენერგიული სროლა იყო. არტუაში ბიუს რაიონში ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ბატარეა, რომელიც ყუმბარებს უშენდა ჩვენს საველე სიმაგრეებს. დანარჩენ ფრონტზე ხდებოდა ჩვენს სასარგებლოთ ნაღმებით ბრძოლა. არგონებში ჩვენ ავაფეთქეთ მაღლობ 285 მტრის სიმაგრეები, სადაც სასწრაფო მუშაობა იყო. ფრირის ჩრდილოეთით ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმიანი ხაზი მტრისა.

**რომი.** 29. მთავარი ბინის ცნობა. კამპელ-ვალსუკანის მთის ხეობაში მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე სანჯიოვანის გასასვლელებთან და, მიუხედავათ იმისა რომ მტერს არტილერიის ძლიერი ცეცხლი ეხმარებოდა, იერიში მოგერებულ იქნა. ჯოჩდევოლის ჰალებში ჩვენი იერიშები გძელდება მტრის სამთო სიმაგრეების წინააღმდეგ სიფ— სასტას მთებს შუა. ჩვენ აგრეთვე ვაწარმოებდით კერძო შეტაკებებს დარჩენილ მტრის რაზმების გასანადგურებლათ კოლდილიანის უკან. იზონცოს შუა მიმდინარეობასთან ფლავის სექტორში, გუშინ ჩვენმა ქვეითა ჯარმა დაიწყო ენერგიული შეტევა ზაგორის მხრით, სადაც ხელში ჩაიგდო 1260 ჯარის კაცი სამი აფიცრით. გორიცის ჩრდილო დასავლეთით მდებარე მაღლობებზე იერიშის დროს აგრეთვე წარმატება გვქონდა ჩვენ. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 8 კაცი. კარსოსთან მთელი დღე ნისლი იდგა და კოკისპირული წვიმა მოდიოდა, რომელმაც ხელი შეუშალა არტილერიის მოქმედებას. ხრამები დიდი ნიაღვრებით აივსო, რომელმაც ხელი შეუშალა ქვეითა ჯარის მოძრაობას; მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც რამდენიმე სიმაგრე ავიღეთ, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ტყვეთ წამოვიყვანეთ 30 კაცი.

**პარიზი** 31 ოქტომბერი. დღის ოფიც. ცნობა. არტუასა და შამპანში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ღამის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა ხდებოდა ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით შონის რაიონში და სომევას სამხრეთით.

**ცეტინიე.** 31 ოკტ. ოფიც. ცნობა. მოწინავე ნაწილებთა ბრძოლის დროს ლოვჩენის ფრონტზე ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე კაცი.

---

# ღია წერილი

„აზრის" ხელმძღვანელისადმი.

„თანამედროვე აზრის" რედაქციას ვიდრე შეკითხვით მივმართავდი, მე მის ხელმძღვანელს კერძო წერილი გავუგზავნე (4-5 სექტემბერს), რომლითაც მას ვთხოვდი, რომ მიეღო შესაფერი ზომები, რათა მე რედაქციაში მუშაობის უფლება დამბრუნებოდა და იძულებული არ გავხდილიყავ სხვის ორგანოში მემუშავნა და „მეთანამშრომლნა".

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩემი ერთად ერთი „პროფესია" და საშუალება ეს ჩვენს გაზეთში მუშაობაა და სხვა არაფერი, რაც ყველა ჩემმა ნაცნობმა კარგათ იცის. მიუხედავათ ასეთი გარემოებისა, „აზრის" ხელმძღვანელმა არც ზომების მიღება ისურვა და არც პასუხი მაღირსა.

სექტემბრის შუა რიცხვებში მე ისევ შევეცადე ქ-ნ. ალექსანდრა ცერცვაძის საშუალებით, რომელსაც პირადათ ვთხოვე რედაქციისგან პასუხი მოეტანა ჩემთვის. პასუხათ მხოლოთ „არა" მივიღე, რის შემდეგ ჩემთვის აშკარა იყო, რომ პასუხსაც აღარ მაღირსებდნენ.

ვსთხოვ „აზრის" ხელმძღვანელს აქ მოხსენებული და პრესის საშუალებით აუწყოს მკითხველთ, თუ რამდენათ ეთანხმება სინამდვილეს ყოველივე ზემოთ აღნიშნული. ამასვე ვსთხოვ ქ-ნ. ალექსანდრა ცერცვაძისას, რომელმაც პირადათ ინახულა „აზრის" ხელმძღვანელი და მისი „არა"-პასუხი გადმომცა.

**დახელი.**

---

# მოწოდება.

სოფ. სვირში არსებობს წიგნსაცავ სამკითხველო. სამკითხველოს დანიშნულება დააკმაყოფილოს მკითხველების მოთხოვნილება როგორც ჟურნალ-გაზეთების მხრივ, ისე წიგნებით. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას წინ ეღობება მატერიალური სიღარიბე. სამკითხველოს მატერიალურის მხრით გამაგრება, თავდებია საზოგადოებრივი ელემენტების სიფხიზლისა და დიადი დანიშნულებისა. ჩვენც დარწმუნებული იმაში, რომ ზოგიერთი გულშემატკივარი თავის შემოწირულებით სამკითხველოს აღორძინებს და ამით მდაბიო სოფლის მკითხველს საშუალებას მისცემს თვალი ადევნოს დღევანდელ ცხოვრების მიმდინარეობას, მივმართავთ ყველას, სამკითხველო განიცდის სიღარიბეს, გამოუწოდეთ, ბატონებო და ქალბატონებო, ხელი და უზრუნველ ჰყავით მისი არსებობა. ყოველივე შემოწირულება დიდი მადლობით იქნება მიღებული.

შემოწირულება გაიგზავნება ამ მისამართით:

ზესტაფონი, ონისიმე ცაკაძეს

**სამკითხველოს გამგეობა.**

---

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kieggefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაეგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
А. А. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное.
> suisse. Recommanbée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Génève.

---

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

---

## მატარებლების მიმოსვლა.

### ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. | 50 წ. |
| „ | — ღამის | —11 ს. | 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. | 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. | 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. | 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. | 39 წ. |

### ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. | 55 წ. |
| „ | — ღამის | — 1 ს. | 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. | — |
| „ | — დილის | — 4 ს. | 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. | 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. | 40 წ. |
| „ | —ნაშუადღ. | — 4 ს. | 20 წ. |

---

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

---

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

---

**ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია**

**ალექსანდრე ი. კოსტავასი**

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

---

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.